

2021

ADY

CONTAINER

შპს ADY კონტეინერ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ადი კონტეინერ ჯორჯიას მფლობელებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ადი კონტეინერ ჯორჯიას (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიის ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიისა და ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის / ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიისა და ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას

მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებასა და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებით შენიშვნებსა და ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურებაზე პასუხისმგებელ პირებს სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

თბილისი საქართველო

2022 წლის 31 მაისი

შპს ADY კონტეინტერ ჯორჯია
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (აშშ დოლარში)

	შენიშვნები	2021	2020
ტვირთის ამონაგები	5	24,760,616	11,553,029
სხვა ამონაგებები		-	436
სრული შემოსავალი		24,760,616	11,553,465
ტრანსპორტირების ხარჯები	6	(24,052,936)	(10,014,117)
ხელფასები, სარგო და მასთან დაკავშირებული შენატანები		(16,320)	(12,132)
სხვა ხარჯები	7	(49,098)	(41,834)
შედეგები საოპერაციო საქმიანობიდან		642,262	1,485,382
საპროცენტო შემოსავალი		821	-
საკუროსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა (ზარალი)		(20,722)	(12,627)
მოგება საშემოსავლო გადასახადამდე		622,361	1,472,755
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება წლისთვის		622,361	1,472,755
სხვა სრული შემოსავალი		-	-
ჯამური სრული ზარალი		622,361	1,472,755

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და გამოსაცემად ავტორიზებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 31 მაისს და ხელმოწერილია მისი სახელით:

სოჰრაბ ალაღარი
 დირექტორი

ბაქო, აზერბაიჯანი

შენიშვნები 8-22 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების შიდა ნაწილს.

შპს ADY კონტეინტერ ჯორჯია
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (აშშ დოლარში)

	შენიშვნები	დეკემბერი 31, 2021	დეკემბერი 31, 2020
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	8	2,267,232	986,106
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	9	3,019,179	3,468,551
გადახდილი ავანსები	10	933,362	1,125,207
სრული მიმდინარე აქტივები		6,219,773	5,579,864
სრული აქტივები		6,219,773	5,579,864
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
გადაუნაწილებელი მოგება		2,095,116	1,472,755
სრული კაპიტალი		2,095,116	1,472,755
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	3,098,272	3,434,206
მიღებული ავანსები	12	1,026,385	672,903
სრული მიმდინარე ვალდებულებები		4,124,657	4,107,109
სრული ვალდებულებები		4,124,657	4,107,109
სრული კაპიტალი და ვალდებულებები		6,219,773	5,579,864

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და გამოსაცემად ავტორიზებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 31 მაისს და ხელმოწერილია მისი სახელით:

სოჰრაბ ალაღარლი
 დირექტორი

ბაქო, აზერბაიჯანი

შენიშვნები 8-22 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების შიდა ნაწილს.

შპს ADY კონტეინტერ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(აშშ დოლარში)

	გადაუნაწილებელი მოგება	ჯამი
იანვარი 1, 2020	-	-
ჯამური სრული შემოსავალი	1,472,755	1,472,755
დეკემბერი 31, 2020	1,472,755	1,472,755
ჯამური სრული შემოსავალი	622,361	622,361
დეკემბერი 31, 2021	2,095,116	2,095,116

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და გამოსაცემად ავტორიზებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 31 მაისს და ხელმოწერილია მისი სახელით:

სოჰრაბ ალაღარი
დირექტორი

ბაქო, აზერბაიჯანი

შენიშვნები 8-22 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების შიდა ნაწილს.

შპს ADY კონტეინტერ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(აშშ დოლარში)

	შენიშვნები	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება საშემოსავლო გადასახადამდე		622,361	1,472,755
კორექტირებები არაფულად მუხლებზე:			
საპროცენტო შემოსავალი		(821)	-
საკურსო სხვაობით განპირობებული მოგება (ზარალი)		20,722	12,627
ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო კაპიტალში ცვლილებებამდე		642,262	1,485,382
<i>კლება/(მატება) საოპერაციო აქტივებში</i>			
გადახდილი ავანსები	10	191,845	(1,125,207)
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	9	449,372	(3,468,551)
<i>(კლება)/მატება საოპერაციო ვალდებულებებში:</i>			
მიღებული ავანსები	12	353,482	672,903
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	(335,934)	3,434,206
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები მიღებულ პროცენტამდე		1,301,027	998,733
მიღებული პროცენტი		821	-
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები		1,301,848	998,733
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	8	986,106	-
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე და მათს ეკვივალენტებზე		(20,722)	(12,627)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	8	2,267,232	986,106

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და გამოსაცემად ავტორიზებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 31 მაისს და ხელმოწერილია მისი სახელით:

სოკრატ ალაღარლი
 დირექტორი

ბაქო, აზერბაიჯანი

შენიშვნები 8-22 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების შიდა ნაწილს.

1. ძირითადი საქმიანობა

კომპანია და მისი ოპერაციები

შპს “ADY კონტეინტერ ჯორჯია” დაარსდა 2020 წლის 23 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

კომპანიის მთავარ ბიზნეს მიზანსა და ძირითად საქმიანობას სარკინიგზო ტვირთების ტრანსპორტირების ეფექტური და ცენტრალიზებული მართვა წარმოადგენს.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ჯავახიშვილის ქუჩა N84, ბინა N15.

კომპანიის აქციონერი 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შპს „ADY კონტეინტერი“ (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), ხოლო საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის ნატივ ჯაფაროვი.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ერთობლივად IFRSs) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება IFRS-ის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას.

ის ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან განსჯის ყველაზე შესაფერის გამოყენებას სააღრიცხვო პოლიტიკასთან მიმართებით. სფეროები, სადაც ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მნიშვნელოვანი მსჯელობები და შეფასებები იქნა მიღებული და მათი ეფექტი წარმოდგენილია შენიშვნა 3-ში. სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენება განუწყვეტლივ ყველა წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და განაგრძობს თავის საქმიანობას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანიის დაგროვილმა მოგებამ შეადგინა 2,193,412 აშშ დოლარი 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიას

შპს ADY კონტეინტერ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(აშშ დოლარში)

შეუძლია დაფაროს თავისი ვალდებულებები და არ შეაქვს ეჭვი კომპანიის წარმადობაში საანგარიშო პერიოდიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა, უცხოური ვალუტაში გადაყვანა

ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია აშშ დოლარში ("USD"), რომელიც ასევე არის კომპანიის სამუშაო ვალუტა.

უცხოურ ვალუტაში ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. 2021 წლის 31 დეკემბერს, უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთების გადასაყვანად გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი ასეთია:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
1 აშშ დოლარი/ლარი	3.0976	3.2766
<i>წლის საშუალო გაცვლითი კურსი</i>	2021	2020
1 აშშ დოლარი/ლარი	3.1097	2.8192

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი გულისხმობს 1 (ერთ) კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, 2020 წლის გარდა, რომელიც მოიცავს პერიოდს 2020 წლის 23 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის ალბათობა მაღალია და როდესაც შესაძლებელია მისი უტყუარად შეფასება. კომპანია ამონაგებს აღიარებს დასრულებული სახელშეკრულებო ვალდებულებების პროპორციულად. კომპანია აღიარებს მომხმარებლებთან დადებულ კონტრაქტებს IFRS 15-ის შესაბამისად, თუ იგი აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ კრიტერიუმებს:

- ▶ ხელშეკრულების მხარეებმა დაამტკიცეს ხელშეკრულება (წერილობით, ზეპირად ან სხვა ჩვეული ბიზნეს პრაქტიკის შესაბამისად) და ვალდებულნი არიან შეასრულონ თავიანთი შესაბამისი ვალდებულებები;
- ▶ სუბიექტს შეუძლია თითოეული მხარის უფლებების იდენტიფიცირება გადასაცემი საქონლის ან მომსახურების შესახებ;
- ▶ სუბიექტს შეუძლია გადასაცემი საქონლის ან მომსახურების გადახდის პირობების იდენტიფიცირება;
- ▶ კონტრაქტს აქვს კომერციული შინაარსი (ე.ი. ხელშეკრულების შედეგად შეიძლება შეიცვალოს სუბიექტის მომავალი ფულადი ნაკადების რისკი, დრო ან ოდენობა); და
- ▶ სავარაუდოა, რომ სუბიექტი აიღებს იმ ანაზღაურებას, რომელზედაც მას ექნება უფლება საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ, რომელიც გადაეცემა მომხმარებელს.

შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

ამონაგები განისაზღვრება მისი რეალური ღირებულებით ან სავაჭრო დებიტორული დავალიანებით, რომელიც მოიცავს კომპანიის ფასდაკლებებსა და ფასდათმობებს. შემოსავალი მცირდება სავარაუდო ფასდაკლებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

ამონაგები აღიარებულია, როდესაც ან როგორც კი განხორციელდება საქონლის ან მომსახურების ხელშეკრულებით გადაცემა მომხმარებლის კონტროლის ქვეშ. კონტროლის გადაცემა ხდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში ან დროის გარკვეულ მომენტში.

ამონაგები სატრანსპორტო მომსახურებიდან

ამონაგები იზომება მომხმარებელთან ხელშეკრულებაში განსაზღვრულ საზღაურზე დაყრდნობით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ის კონტროლს პროდუქტზე ან მომსახურებაზე გადასცემს მომხმარებელს.

შპს ADY კონტინტერ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(აშშ დოლარში)

საექსპედიტორო - ამონაგები გენერირდება ტვირთის ერთი წერტილიდან მეორეზე ტრანსპორტირების ორგანიზებით წინასწარ განსაზღვრული ფასების საფუძველზე განსაზღვრული ანაზღაურების სანაცვლოდ. ის ფასდება იმ ანაზღაურებით, რომელზედაც სუბიექტს აქვს მოლოდინი, რომ იქნება უფლებამოსილი ამ სერვისების სანაცვლოდ.

საექსპედიტორო ამონაგები აღიარებულია მომსახურების მიწოდების დროში IFRS 15-ის შესაბამისად. აღიარებული ამონაგების ოდენობა ფასდება ტრანსპორტირების დასრულების სავარაუდო დროის მიხედვით.

ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა

კომპანიის ამონაგები მიიღება ფიქსირებული ფასის კონტრაქტებიდან, რომლებიც, ზოგიერთ შემთხვევაში, დამოკიდებულია დღეის მდგომარეობით შესრულებულ შესასრულებელ ვალდებულებებზე (ან KPI-ებზე) და, შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მიღებული ამონაგების ოდენობა განისაზღვრება ამ ფიქსირებული ფასების მიხედვით.

კომპანიას არ აქვს რაიმე კონტრაქტი, რომელიც შეიცავს ცვლად გადახდებს.

თანხების განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე

შესასრულებელ ვალდებულებებზე თანხების განაწილება ეფუძნება ხელშეკრულებებში განსაზღვრულ ფიქსირებულ ფასებს, რომელიც შეესაბამება საფასურს ყველა გაწეული მომსახურებისთვის.

ხელშეკრულებების გაფორმების ხარჯები და ხელშეკრულებების შესრულების ხარჯები:

მომხმარებელთან ხელშეკრულებების გაფორმების ხარჯები მოიცავს კომპანიის გაყიდვებისა და იურიდიული განყოფილებების ფიქსირებულ ხელფასს, რომლებიც არ არის აღიარებული აქტივებად და იხარჯება, რადგან ხელშეკრულების გაფორმების ხარჯები გაწეული იქნებოდა მიუხედავად იმისა, იქნებოდა თუ არა ხელშეკრულება გაფორმებული.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ხელშეკრულების შესრულების ხარჯები არ იწვევს ცალკეული აქტივის აღიარებას, რადგან მომხმარებელთან ხელშეკრულების შესრულებისას გაწეული ხარჯები შედიოდა IAS 16 ძირითადი საშუალებების ფარგლებში.

ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული ხარჯები არ არის აღიარებული ცალკე აქტივად, რადგან ასეთი დანახარჯები შედის IAS 16-ის გრძელვადიანი აქტივების ფარგლებში.

ხელშეკრულების განსხვავებები

სახელშეკრულებო ვალდებულება

ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც მომხმარებელი იხდის საფასურს, ან კომპანიას აქვს უპირობო უფლება ფულადი სახსრების დაბრუნების ოდენობაზე მანამ, სანამ კომპანია მომხმარებელს მიაწვდის საქონელს ან მომსახურებას, კომპანია წარადგენს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებას. ეს არის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების ვალდებულება, რისთვისაც კომპანიამ მიიღო კომპენსაცია მომხმარებლისგან.

დასაქმებულთა გასამრჯელოები

კომპანიამ სრულად უნდა აანაზღაუროს თანამშრომელთა გასამრჯელო გადახდილი ანაზღაურებისთვის წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში, რომლის განმავლობაშიც თანამშრომლები გაწევენ შესაბამის მომსახურებას:

- ▶ ხელფასები;
- ▶ ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენის ანაზღაურება
- ▶ არაფულადი გასამრჯელოები მოქმედი თანამშრომლებისთვის

ხელფასები, პრემიები და არაფულადი გასამრჯელოები აღიარებულია დარიცხვის მეთოდზე იმ პერიოდში, როდესაც კომპანიამ მიიღო შესაბამისი მომსახურება თანამშრომლისგან. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან განახორციელოს მსგავსი გადახდა.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარებულია მთლიანი შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან, რაც შეიძლება უტყუარად განისაზღვროს.

დანახარჯები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ არის მოსალოდნელი ან მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსის აქტივების აღიარების კრიტერიუმებს.

ფინანსური ინსტრუმენტები საწყისი აღიარება

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნებისმიერი შესყიდვა ან გაყიდვა ჩვეულებრივი ბიზნესის მიმდინარეობისას აღიარებულია ტრანზაქციის თარიღით, რაც არის ის თარიღი, როდესაც კომპანიამ აიღო ვალდებულება შეიძინოს აქტივი ან ვალდებულება. ჩვეულებრივი ვაჭრობა ნიშნავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივებისა და ვალდებულებების გადაცემას ზოგადი საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

საწყისი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია თავდაპირველი შეფასებისთვის დამოკიდებულია ხელშეკრულების პირობებსა და მართული ინსტრუმენტის ბიზნეს მოდელზე. თავდაპირველად, ფინანსური ინსტრუმენტები აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფინანსური აქტივი და ვალდებულება არ არის აღიარებული სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის მეშვეობით, რომელ შემთხვევაშიც ტრანზაქციის ხარჯები ემატება ან აკლდება.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების შეფასების კატეგორიები

კომპანია ახდენს თავისი ყველა ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას აქტივების მართვის ბიზნეს მოდელისა და აქტივის სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, რომელიც შეფასებულია შემდეგიდან რომელიმეთი:

- ▶ ამორტიზებული ღირებულება;
- ▶ FVOCI;
- ▶ FVPL.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები ამორტიზებული ღირებულებით

კომპანია შეაფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს ამორტიზებული ღირებულებით, თუ დაკმაყოფილება ორივე შემდეგი პირობა:

- ▶ ფინანსური აქტივი არის ბიზნეს მოდელი, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

ზემოაღნიშნული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნეს მოდელის შეფასება

კომპანიის ბიზნეს მოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად.

კომპანიის ბიზნეს მოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- ▶ როგორ ხდება ბიზნეს მოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნეს მოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- ▶ რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნეს მოდელის (და ამ ბიზნეს მოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- ▶ რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელობის ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- ▶ მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით

შპს ADY კონტეინტერ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(აშშ დოლარში)

წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნეს მოდელის შეფასების თარიღით კომპანიის მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნეს მოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

SPPI ტესტი

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადითანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარად ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია).

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტი სყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

გაუფასურება

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალები როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებებისთვის ასევე სახელშეკრულებო აქტივის აღიარდება გამარტივებული მიდგომის შესაბამისად, IFRS 9-ის ფარგლებში ვადაგადაცილებების მატრიცის გამოყენებით იმის დასადგენად, თუ რა არის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. პროცესში კომპანია ახდენს მოთხოვნის გადაუხდელობის ნაწილის ალბათობის შეფასებას. იმისთვის, რომ კომპანიამ განსაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები, მიღებულ ალბათობას ამრავლებს საკრედიტო ზარალებზე წარმოშობილი დეფოლტის შემთხვევაში.

გაუფასურების რეზერვები დაკავშირებულ მხარეებთან არსებულ მოთხოვნებზე და გაცემულ სესხებზე აღიარდება მომავალზე ორიენტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების მოდელის შესაბამისად. მეთოდოლოგია, რომელსაც კომპანია იყენებს გაუფასურების რეზერვის განსაზღვრისთვის, დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი. იმ ფინანსურ აქტივებზე, რომელთა საწყისი აღიარების შემდეგ არ გაზარდილა საკრედიტო რისკი, კომპანია ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ბრუტო მეთოდით. იმ ფინანსურ აქტივებზე, რომელთა საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რისკი, კომპანია ანგარიშობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ბრუტო მეთოდით. იმ აქტივებზე, რომელსაც კომპანია განსაზღვრავს, რომ უკვე გაუფასურებულია, ანგარიშობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ნეტო მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

კომპანია ახდენს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას, როგორც ერთ-ერთი შემდეგი:

- ▶ ამორტიზებული ღირებულება;
- ▶ FVOCI;
- ▶ FVPL.

კომპანია არ ფლობს ფინანსურ ვალდებულებებს, რომელიც კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიღებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა *ფინანსური აქტივები*

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები დასარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის

შპს ADY კონტეინტერ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(აშშ დოლარში)

ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც კომპანია შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ჩამოიწერება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შეფასების სამართლიანი ღირებულება

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივი და ვალდებულება უნდა შეფასდეს და განისაზღვროს სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან ვალდებულების ფასიანი გადაცემისას ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობითი ტრანზაქციით შეფასების თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ ადგილი აქვს აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის ტრანზაქციას.

- ▶ ძირითად ბაზარზე აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის; ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ დაშვების გამოყენებით, რომელსაც გამოიყენებდნენ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები მოქმედებენ მათი საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

კომპანია იყენებს სამართლიანი ღირებულების მეთოდს, რომელიც შეესაბამება გარემოებებს და რომლისთვისაც საკმარისი მონაცემებია ხელმისაწვდომი სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად. კომპანია იყენებს ბაზრის ხელმისაწვდომ მონაცემებს.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ხარჯები კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეზე, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შესამჩნევი ხარჯები გამოიყენება შეფასების მეთოდის დასადგენად (სამართლიანი ღირებულების იერარქია):

- ▶ დონე 1: კოტირებული ერთეულის ფასების გამოყენება აქტიურ ბაზარზე (შეუსწორებელი);

- ▶ დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური სუბიექტისთვის, რომელსაც მეორე მხარე ფლობს, როგორც აქტივი;

- ▶ დონე 3: არასაბაზრო მონაცემებზე დაყრდნობით

სამართლიანი ღირებულების დონეებად კლასიფიკაცია დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და მის მნიშვნელობაზე სამართლიანი ღირებულების გამოთვლაში. დონეებს შორის ცვლა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ასეთ მოვლენას ადგილი აქვს.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან და ბანკების მიმდინარე ანგარიშებისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასების ცვლილების მცირე რისკს.

მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები აღიარებულია საბალანსო ღირებულებით ყოველგვარი გაუფასურების გამოკლებით.

შპს ADY კონტინტერ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(აშშ დოლარში)

საავანსო გადახდები კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი საწყისი აღიარებით. აქტივებზე წინასწარი გადახდები ირიცხება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია იძენს აქტივის კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი ჩაედინება კომპანიაში. სხვა წინასწარი გადახდები გამოიქვითება მოგებაში ან ზარალში, როდესაც საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიიღება. თუ არსებობს მითითებები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, წინასწარი გადახდების საბალანსო ღირებულება გამოიქვითება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარებული იქნება წლის მოგება-ზარალში.

დღგ (დამატებული ღირებულების გადასახადი)

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდა საგადასახადო ორგანოებისთვის უნდა მოხდეს კლიენტისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებისას. დარიცხული დღგ ძირითადად გამოიქვითება გამავალი დღგ-სთვის დღგ-ს ინვოისის მიღებისას.

საგადასახადო ორგანოები ახდენენ დღგ-ს გადახდის ავტორიზებას წმინდა საფუძველზე. საქონლის გადაზიდვა, რომელიც ექვემდებარება ექსპორტს, რეექსპორტს, გარე გადამუშავებას ან ტრანზიტს ან განკუთვნილია ტრანზიტისთვის, თავისუფლდება დღგ-სგან.

საშემოსავლო გადასახადი

საშემოსავლო გადასახადები გათვალისწინებულია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო პერიოდის ბოლომდე ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) არ უწევთ საშემოსავლო გადასახადის გადახდა 2017 წლის 1 იანვარის შემდეგ მიღებულ მოგებაზე, სანამ ეს მოგება არ განაწილდება ან არ ჩაითვლება განაწილებულად დივიდენდის სახით.

ფიზიკურ ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გადახდის მომენტში გადასახდელია 15% საშემოსავლო გადასახადი მთლიან ღირებულებაზე (ე.ი. წმინდა დივიდენდები აყვანილი უნდა იქნას საერთო თანხაზე დაკავების გადასახადის 5%-

შპს ADY კონტეინტერ ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

ით, თუ ეს შესაძლებელია და გაიყოს 0,85-ზე). რეზიდენტ იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდები გათავისუფლებულია გადასახადებიდან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში დაგროვილ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადს მთლიანი ღირებულებით, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტით, რომელიც გამოითვლება, როგორც დეკლარირებული და გადახდილი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის წილი დასაბეგრ მოგებაზე ან მთლიანი წმინდა მოგება იმავე პერიოდისთვის გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებაზე დაწესებულ რეალურ საშემოსავლო გადასახადს.

საშემოსავლო გადასახადი, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების განაწილებიდან, აღირიცხება, როგორც საშემოსავლო გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადებულია, დივიდენდის გადახდის განხორციელების თარიღის ან პერიოდის მიუხედავად.

საშემოსავლო გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი კვლავ გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა გადასახდელებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ სუბიექტებზე გადახდილი ყველა ავანსი და ამ სუბიექტებთან სხვა გარკვეული ტრანზაქციები, ასევე ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხები დაუყოვნებლივ იბეგრება. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, აქტივებზე მოთხოვნილი წმინდა საგადასახადო კრედიტები ან იურისდიქციებში რეგისტრირებულ სუბიექტებზე გადახდილი ავანსების სანაცვლოდ მიღებული მომსახურებები, რომლებსაც აქვთ შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღება აღირიცხება საშემოსავლოს გარდა სხვა გადასახადებში საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, კომპანიამ გადასახადები ერთიანი საბაზინო კოდით უნდა გადაიხადოს. შედეგად, კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს წმინდა საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

შედეგები საშემოსავლო გადასახადიდან, რომლებიც წარმოიშობა დივიდენდების განაწილებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც განსაზღვრულია IFRS 9-ში (ე.ი. მოგების განაწილება წილობრივი ინსტრუმენტების მფლობელებზე კაპიტალის კონკრეტული კლასის მათი ფლობის პროპორციულად) უნდა იყოს აღიარებული:

- ▶ იმავდროულად, როდესაც ხდება დივიდენდის ვალდებულების აღიარება; და
- ▶ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ან კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში, იმისდა მიხედვით, აღიარა თუ არა ორგანიზაციამ თავისი წარსული ოპერაციები ან მოვლენები, რამაც წარმოშვა გაუნაწილებელი მოგება, საიდანაც დივიდენდების გადახდა ხდება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს განსჯების, შეფასებებისა და დაშვებების განხორციელებას, რომლებიც ზემოქმედებენ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშგებო რაოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებსა და ხარჯებზე. შეფასებები და განსჯები მუდმივად ფასდება წარსული გამოცდილებისა და სხვა ფაქტორების საფუძველზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინების ჩათვლით, რომლებიც გარემოებების გათვალისწინებით მიჩნეულია გონივრულად. დაშვებები და შეფასებები მუდმივად განხილულია და შეიძლება დასრულდეს იმგვარი გამოსავლით, რაც მოითხოვს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების ზემოქმედებაზე არსებითი კორექტირებას მომავალ პერიოდებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში, ხელმძღვანელობამ გააკეთა შემდეგი განსჯები და დაშვებები მომავალი და სხვა ძირითადი წყაროების შეფასების გაურკვევლობის შესახებ ანგარიშგების თარიღისთვის, რომლებსაც აქვთ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვანი რისკი მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და ფინანსური შედეგებისთვის, განხილულია ქვემოთ.

დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების პირველადი აღიარება. ბიზნესის ნორმალური მსვლელობისას კომპანია დებს ტრანზაქციებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან.

შპს ADY კონტეინტერ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(აშშ დოლარში)

IFRS 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმის დასადგენად, ტრანზაქციების ფასი დადგენილია საბაზრო თუ არასაბაზრო გზით, სადაც არ არის აქტიური ბაზარი ასეთი ტრანზაქციისთვის. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ტრანზაქციების ფასის დადგენაა.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი

კომპანია იყენებს IFRS 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასებისთვის დებიტორული დავალიანებების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის ანარიცხის გამოყენებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კოლექტიურ საფუძველზე შესაფასებლად, დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ასაკის საფუძველზე. მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება კომპანიის წარსულ საკრედიტო ზარალს, რომელიც მოხდა პერიოდის დასრულებამდე სამი წლის განმავლობაში.

მაშასადამე, წარსული ზარალის განაკვეთები არ არის კორექტირებული კომპანიის მომხმარებლებზე მოქმედი მაკროეკონომიკური ფაქტორების შესახებ მიმდინარე და მომავალი ინფორმაციისთვის.

5. ტვირთის ამონაგები

სატრანსპორტო საექსპედიტორო მომსახურებიდან (ტვირთის ამონაგები) მიღებული შემოსავლები 2021 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	2021	2020
ტვირთის ამონაგები ტრანზიტული გადაზიდვებიდან	23,527,330	3,561,213
ტვირთის ამონაგები ტრანზიტული გადაზიდვებიდან	718,482	3,507,738
ტვირთის ამონაგები ტრანზიტული გადაზიდვებიდან	514,804	4,484,078
სრული ტვირთის ამონაგები	24,760,616	11,553,029

შპს ADY კონტეინტერ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(აშშ დოლარში)

6. ტრანსპორტირების ხარჯი

კომპანიის ტრანსპორტირების ხარჯები დაკავშირებულია ექსპორტის, იმპორტის, გადაზიდვისა და სადგურთან დაკავშირებულ ხარჯებთან, რომლებმაც შეადგინა 24,052,936 აშშ დოლარი და 10,014,117 აშშ დოლარი 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის.

7. სხვა ხარჯები

კომპანიის სხვა ხარჯები 2021 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	2021	2020
პროფესიონალი მომსახურება და საფასურული	35,670	34,132
ბანკის საკომისიო	9,990	5,689
დაზღვევის ხარჯები	3,438	2,013
სრული სხვა ხარჯები	49,098	41,834

8. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31-დეკ-21	31-დეკ-20
ბუღალდი სახსრები ბანკში	2,046,597	986,106
ნაღდი ფული	220,635	-
სრული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	2,267,232	986,106

9. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

კომპანიის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება შედგება სატვირთო მომსახურებიდან დებიტორული დავალიანებისგან, რომელმაც შეადგინა 3,019,179 აშშ დოლარი და 3,468,551 აშშ დოლარი 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიასა და იურიდიულ პირებს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც კომპანია ახორციელებს და იღებს სატრანსპორტო მომსახურებას.

შპს ADY კონტეინტერ ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

კომპანია პერიოდულად ახორციელებს ურთიერთგადაფარვის დებიტორულ დავალიანებებს და ვალდებულებებს ერთსა და იმავე კონტრაქტებთან, ამის გამო კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს პირობები ან მოვლენები, რომლებიც მიუთითებს სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების გაუფასურების შესახებ.

10. გადახდილი ავანსები

კომპანიის მიერ გადახდილი ავანსები შედგება სატრანსპორტო მომსახურეობის წინასწარი გადახდებისგან, რომელმაც შეადგინა 933,362 აშშ დოლარი და 1,125,207 აშშ დოლარი 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შედგება სატრანსპორტო მომსახურებისთვის სავაჭრო ვალდებულებებისგან, რომელმაც შეადგინა 3,098,272 აშშ დოლარი და 3,434,206 აშშ დოლარი 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

12. მიღებული ავანსები

კომპანიის მიერ მიღებული ავანსები შედგება სატვირთო მომსახურებისთვის წინასწარ გადახდებისგან, რომელმაც შეადგინა 1,026,385 აშშ დოლარი და 672,903 აშშ დოლარი 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

13. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს მიმდინარე ტრანზაქციით მსურველ მხარეებს შორის იძულებითი გაყიდვის ან ლიკვიდაციის გარდა და საუკეთესოდ დადასტურებულია აქტიური კოტირებული საბაზრო ფასით. ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა კომპანიის მიერ არსებული საბაზრო ინფორმაციისა და შესაბამისი შეფასების მეთოდოლოგიების გამოყენებით.

თუმცა, შეფასებული სამართლიანი ღირებულების დასადგენად საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის აუცილებლად მოითხოვება განსჯა.

საქართველო აგრძელებს განვითარებადი ბაზრის ზოგიერთი მახასიათებლის გამოვლენას, ხოლო ეკონომიკური პირობები განაგრძობს ფინანსურ ბაზრებზე აქტივობის მოცულობის შეზღუდვას.

საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს ან ასახავდეს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფით აღებული ქონების გაყიდვის ტრანზაქციას და, შესაბამისად, არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ხელმძღვანელობამ გამოიყენა ყველა არსებული ბაზრის ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

მცოცავი სავალუტო კურსის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ჩვეულებრივ არის მათი საბალანსო ღირებულება. გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება ეფუძნება სავარაუდო სამომავლო ფულად სახსრებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია დისკონტირებულად მსგავსი საკრედიტო რისკების და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. გამოყენებული დისკონტის განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაქტის საკრედიტო რისკზე. დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება მიახლოებითი იყო მათ სამართლიან ღირებულებასთან.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები

ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება მითითებული დაფარვის ვადით, რომლებისთვისაც კოტირებული საბაზრო ფასი არ არის ხელმისაწვდომი, შეფასდა მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის.

სავაჭრო ვალდებულებებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების საბალანსო თანხები უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას მათი მოკლევადიანი დაფარვის გამო.

14. ფინანსური რისკი

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკის მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრაზე და, მიუხედავად იმისა, რომ ინარჩუნებს მათზე საბოლოო პასუხისმგებლობას, მას აქვს დელეგირებული უფლებამოსილება შეიმუშაოს და აწარმოოს პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპანიის ფინანსური ფუნქციის მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას.

შპს ADY კონტეინტერ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(აშშ დოლარში)

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, ჩამოაყალიბოს პოლიტიკა, რომელიც შეძლებისდაგვარად შეამცირებს რისკს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე ზედმეტი ზემოქმედების გარეშე. ამ პოლიტიკის შესახებ დამატებითი დეტალები მოცემულია ქვემოთ:

14. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი არის კომპანიისთვის ფინანსური ზარალის რისკი, თუ ფინანსური ინსტრუმენტის კლიენტი ან კონტრაჰენტი ვერ ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. კომპანია ძირითადად ექვემდებარება საკრედიტო რისკს საკრედიტო გაყიდვებიდან. კომპანიის პოლიტიკა, რომელიც ადგილობრივად ხორციელდება, არის ახალი კლიენტების საკრედიტო რისკის შეფასება კონტრაქტების დადებამდე.

ხელმძღვანელობამ ჩამოაყალიბა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ყოველი ახალი მომხმარებლის ინდივიდუალური ანალიზი ხორციელდება კრედიტუნარიანობაზე კომპანიის სტანდარტული გადახდისა და მიწოდების პირობების შეთავაზებამდე.

ხელმძღვანელობა ადგენს საკრედიტო რისკის კონცენტრაციას დებიტორული დავალიანების დამკველების ანალიზის ყოველთვიური მიმოხილვის გზით.

კომპანიის ქვემოთ მოცემული ფინანსური ინსტრუმენტები ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საბალანსო ღირებულებით:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 31, 2021	31 დეკემბერი 31, 2020
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	2,046,597	986,106
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,019,179	3,468,551
სრული ფინანსური აქტივები	5,065,776	4,454,657
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,098,272	3,434,206
სრული ფინანსური ვალდებულებები	3,098,272	3,434,206

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო.

საბაზრო რისკის სენსიტიურობა, რომელიც წარმოდგენილია ზემოთ მოცემულ ანგარიშგებაში, ეფუძნება ერთფაქტორიან ცვლილებას, თუ სხვა ცვლილებები მუდმივი იქნება. პრაქტიკაში, ეს სიტუაცია ძალზე იშვიათი შემთხვევაა და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილება კორელაციით იქნებოდა გამოწვეული. მაგალითად, ადგილობრივი და უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთების ცვლილება.

შპს ADY კონტეინტერ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (აშშ დოლარში)

სავალუტო რისკი

კომპანიას არ აქვს რაიმე კონტრაქტი, რომელიც შეიცავს ცვლად გადახდებს.

თანხების განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე

შესასრულებელ ვალდებულებებზე თანხების განაწილება ეფუძნება ხელშეკრულებებში განსაზღვრულ ფიქსირებულ ფასებს, რომელიც შეესაბამება საფასურს ყველა გაწეული მომსახურებისთვის. ხელშეკრულებების გაფორმების ხარჯები და ხელშეკრულებების შესრულების ხარჯები: მომხმარებელთან ხელშეკრულებების გაფორმების ხარჯები მოიცავს კომპანიის გაყიდვებისა და იურიდიული განყოფილებების ფიქსირებულ ხელფასს, რომლებიც არ არის აღიარებული აქტივებად და იხარჯება, რადგან ხელშეკრულების გაფორმების ხარჯები გაწეული იქნებოდა მიუხედავად იმისა, იქნებოდა თუ არა ხელშეკრულება გაფორმებული.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ხელშეკრულების შესრულების ხარჯები არ იწვევს ცალკეული აქტივის აღიარებას, რადგან მომხმარებელთან ხელშეკრულების შესრულებისას გაწეული ხარჯები შედიოდა IAS 16 ძირითადი საშუალებების ფარგლებში. ხელშეკრულების დადებისთან დაკავშირებული ხარჯები არ არის აღიარებული ცალკე აქტივად, რადგან ასეთი დანახარჯები შედის IAS 16-ის გრძელვადიანი აქტივების ფარგლებში.

ხელშეკრულების განსხვავებები

სახელშეკრულებო ვალდებულება

ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც მომხმარებელი იხდის საფასურს, ან კომპანიას აქვს უპირობო უფლება ფულადი სახსრების დაბრუნების ოდენობაზე მანამ, სანამ კომპანია მომხმარებელს მიაწვდის საქონელს ან მომსახურებას, კომპანია წარადგენს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებას. ეს არის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების ვალდებულება, რისთვისაც კომპანიამ მიიღო კომპენსაცია მომხმარებლისგან.

დასაქმებულთა გასამრჯელოები

კომპანიამ სრულად უნდა აანაზღაუროს თანამშრომელთა გასამრჯელო გადახდილი ანაზღაურებისთვის წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში, რომლის განმავლობაშიც თანამშრომლები გაწვევს შესაბამის მომსახურებას:

- ▶ ხელფასები;
- ▶ ყოველწლიური ანაზღაურებადი შევსება და ბიულეტენის ანაზღაურება
- ▶ არაფულადი გასამრჯელოები მოქმედი თანამშრომლებისთვის

ხელფასები, პრემიები და არაფულადი გასამრჯელოები აღიარებულია დარიცხვის მეთოდზე იმ პერიოდში, როდესაც კომპანიამ მიიღო შესაბამისი მომსახურება თანამშრომლისგან. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან განახორციელოს მსგავსი გადახდა.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარებულია მთლიანი შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან, რაც შეიძლება უტყუარად განისაზღვროს.

დანახარჯები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ არის მოსალოდნელი ან მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსის აქტივების აღიარების კრიტერიუმებს.

ფინანსური ინსტრუმენტები
საწყისი აღიარება

გა-100



შპს ადი კონტეინტერ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(აშშ დოლარში)

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნებისმიერი შესყიდვა ან გაყიდვა ჩვეულებრივი ბიზნესის მიმდინარეობისას აღიარებულია ტრანზაქციის თარიღით, რაც არის ის თარიღი, როდესაც კომპანიამ აიღო ვალდებულება შეიძინოს აქტივი ან ვალდებულება. ჩვეულებრივი ვაჭრობა ნიშნავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივებისა და ვალდებულებების გადაცემას ზოგადი საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

საწყისი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია თავდაპირველი შეფასებისთვის დამოკიდებულია ხელშეკრულების პირობებსა და მართული ინსტრუმენტის ბიზნეს მოდელზე. თავდაპირველად, ფინანსური ინსტრუმენტები აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფინანსური აქტივი და ვალდებულება არ არის აღიარებული სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის მეშვეობით, რომელ შემთხვევაშიც ტრანზაქციის ხარჯები ემატება ან აკლდება.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების შეფასების კატეგორიები

კომპანია ახდენს თავისი ყველა ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას აქტივების მართვის ბიზნეს მოდელისა და აქტივის სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, რომელიც შეფასებულია შემდეგიდან რომელიმეთი:

- ▶ ამორტიზებული ღირებულება;
- ▶ FVOCI;
- ▶ FVPL.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები ამორტიზებული ღირებულებით

კომპანია შეაფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს ამორტიზებული ღირებულებით, თუ დაკმაყოფილდება ორივე შემდეგი პირობა:

- ▶ ფინანსური აქტივი არის ბიზნეს მოდელი, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

ზემოაღნიშნული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნეს მოდელის შეფასება

კომპანიის ბიზნეს მოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად.

კომპანიის ბიზნეს მოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- ▶ როგორ ხდება ბიზნეს მოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნეს მოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- ▶ რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნეს მოდელის (და ამ ბიზნეს მოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხდება ამ რისკების მართვა;

გაყვანილია

მოწმებულია



შპს ადი კონტინტერ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(აშშ დოლარში)

- ▶ რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელობის ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- ▶ მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაციდების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნეს მოდელის შეფასების თარიღით კომპანიის მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნეს მოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

SPPI ტესტი

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარად ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაციას).

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტი სყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

გაუფასურება

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალები როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებებისთვის ასევე სახელშეკრულებო აქტივის აღიარდება გამარტივებული მიდგომის შესაბამისად, IFRS 9 ის ფარგლებში ვადაგადაცილებების მატრიცის გამოყენებით იმის დასადგენად, თუ რა არის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. პროცესში კომპანია ახდენს მოთხოვნის გადაუხდელი ნაწილის ალბათობის შეფასებას. იმისთვის, რომ კომპანიამ განსაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები, მიღებულ ალბათობას ამრავლებს საკრედიტო ზარალებზე წარმოშობილი დეფოლტის შემთხვევაში.

გაუფასურების რეზერვები დაკავშირებულ მხარეებთან არსებულ მოთხოვნებზე და გაცემულ სესხებზე აღიარდება მომავალზე ორიენტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების მოდელის შესაბამისად. მეთოდოლოგია, რომელსაც კომპანია იყენებს გაუფასურების რეზერვის განსაზღვრისთვის, დაფუძნებულია ფინანსური აქტივის

გაორი რეზ



შპს ადი კონტინენტერ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(აშშ დოლარში)

საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი. იმ ფინანსურ აქტივებზე, რომელთა საწყისი აღიარების შემდეგ არ გაზარდია საკრედიტო რისკი, კომპანია ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ბრუტო მეთოდით. იმ ფინანსურ აქტივებზე, რომელთა საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რისკი, კომპანია ანგარიშობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ბრუტო მეთოდით. იმ აქტივებზე, რომელსაც კომპანია განსაზღვრავს, რომ უკვე გაუფასურებულია, ანგარიშობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ნეტო მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

კომპანია ახდენს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას, როგორც ერთ-ერთი შემდეგი:

- ▶ ამორტიზებული ღირებულება;
- ▶ FVOCI;
- ▶ FVPL.

კომპანია არ ფლობს ფინანსურ ვალდებულებებს, რომელიც კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიღებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქცითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქცევა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა
ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა,

შპს ადი კონტინტერ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(აშშ დოლარში)

აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც კომპანია შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ანაწილწერება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შეფასების სამართლიანი ღირებულება

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივი და ვალდებულება უნდა შეფასდეს და განისაზღვროს სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან ვალდებულების ფასიანი გადაცემისას ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობითი ტრანზაქციით შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ ადგილი აქვს აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის ტრანზაქციას.

- ▶ ძირითად ბაზარზე აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის; ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ დაშვების გამოყენებით, რომელსაც გამოიყენებდნენ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები მოქმედებენ მათი საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. კომპანია იყენებს სამართლიანი ღირებულების მეთოდს, რომელიც შეესაბამება გარემოებებს და რომლისთვისაც საკმარისი მონაცემებია ხელმისაწვდომი სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად. კომპანია იყენებს ბაზრის ხელმისაწვდომ მონაცემებს.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ხარჯები კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეზე, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შესამჩნევი ხარჯები გამოიყენება შეფასების მეთოდის დასადგენად (სამართლიანი ღირებულების იერარქია):

- ▶ დონე 1: კოტირებული ერთეულის ფასების გამოყენება აქტიურ ბაზარზე (შეუსწორებელი);
- ▶ დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური სუბიექტისთვის, რომელსაც მეორე მხარე ფლობს, როგორც აქტივი;
- ▶ დონე 3: არასაბაზრო მონაცემებზე დაყრდნობით

გა. სურთ

ნათ. მ.



შპს ადი კონტეინტერ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(აშშ დოლარში)

სამართლიანი ღირებულების დონეებზე კლასიფიკაცია დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და მის მნიშვნელობაზე სამართლიანი ღირებულების გამოთვლაში. დონეებს შორის ცვლა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ასეთ მოვლენას ადგილი აქვს.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან და ბანკების მიმდინარე ანგარიშებისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასების ცვლილების მცირე რისკს.

მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები აღიარებულია საბალანსო ღირებულებით ყოველგვარი გაუფასურების გამოკლებით.

საავანსო გადახდები კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი საწყისი აღიარებით. აქტივებზე წინასწარი გადახდები ირიცხება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია იძენს აქტივის კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი ჩაედინება კომპანიაში. სხვა წინასწარი გადახდები გამოიქვითება მოგებაში ან ზარალში, როდესაც საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიიღება. თუ არსებობს მითითებები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, წინასწარი გადახდების საბალანსო ღირებულება გამოიქვითება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარებული იქნება წლის მოგება-ზარალში.

დღგ (დამატებული ღირებულების გადასახადი)

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდა საგადასახადო ორგანოებისთვის უნდა მოხდეს კლიენტისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებისას. დარიცხული დღგ ძირითადად გამოიქვითება გამავალი დღგ-სთვის დღგ-ს ინვოისის მიღებისას.

საგადასახადო ორგანოები ახდენენ დღგ-ს გადახდის ავტორიზებას წმინდა საფუძველზე. საქონლის გადაზიდვა, რომელიც ექვემდებარება ექსპორტს, რეექსპორტს, გარე გადამუშავებას ან ტრანზიტს ან განკუთვნილია ტრანზიტისთვის, თავისუფლდება დღგ-სგან.

საშემოსავლო გადასახადი

საშემოსავლო გადასახადები გათვალისწინებულია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო პერიოდის ბოლომდე ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) არ უწევთ საშემოსავლო გადასახადის გადახდა 2017 წლის 1 იანვარის შემდეგ მიღებულ მოგებაზე, სანამ ეს მოგება არ განაწილდება ან არ ჩაითვლება განაწილებულად დივიდენდის სახით.

ფიზიკურ ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გადახდის მომენტში გადასახდელია 15% საშემოსავლო გადასახადი მთლიან ღირებულებაზე (ე.ი. წმინდა დივიდენდები აყვანილი უნდა იქნას საერთო თანხაზე დაკავების გადასახადის 5%-ით, თუ ეს შესაძლებელია და გაიყოს 0,85-ზე). რეზიდენტ იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდები გათავისუფლებულია გადასახადებიდან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში დაგროვილ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადს მთლიანი ღირებულებით, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტით, რომელიც გამოითვლება, როგორც დეკლარირებული და გადახდილი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის წილი დასაბეგრ მოგებაზე ან მთლიანი წმინდა მოგება იმავე პერიოდისთვის გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებაზე დაწესებულ რეალურ საშემოსავლო გადასახადს.

ქეთევან

მარი ჯიბუა



შპს ადი კონტინტერ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(აშშ დოლარში)

საშემოსავლო გადასახადი, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების განაწილებიდან, აღირიცხება, როგორც საშემოსავლო გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადებულია, დივიდენდის გადახდის განხორციელების თარიღის ან პერიოდის მიუხედავად.

საშემოსავლო გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი კვლავ გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა გადასახდელებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ სუბიექტებზე გადახდილი ყველა ავანსი და ამ სუბიექტებთან სხვა გარკვეული ტრანზაქციები, ასევე ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხები და უყოფნებლივ იხვერება. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, აქტივებზე მოთხოვნილი წმინდა საგადასახადო კრედიტები ან იურისდიქციებში რეგისტრირებულ სუბიექტებზე გადახდილი ავანსების სანაცვლოდ მიღებული მომსახურებები, რომლებსაც აქვთ შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღება აღირიცხება საშემოსავლოს გარდა სხვა გადასახადებში საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, კომპანიამ გადასახადები ერთიანი საბაზისო კოდით უნდა გადაიხადოს. შედეგად, კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს წმინდა საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

შედეგები საშემოსავლო გადასახადიდან, რომლებიც წარმოიშობა დივიდენდების განაწილებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც განსაზღვრულია IFRS 9-ში (ე.ი. მოგების განაწილება წილობრივი ინსტრუმენტების მფლობელებზე კაპიტალის კონკრეტული კლასის მათი ფლობის პროპორციულად) უნდა იყოს აღიარებული:

- ▶ იმავდროულად, როდესაც ხდება დივიდენდის ვალდებულების აღიარება; და
- ▶ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ან კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში, იმისდა მიხედვით, აღიარა თუ არა ორგანიზაციამ თავისი წარსული ოპერაციები ან მოვლენები, რამაც წარმოშვა გაუნაწილებელი მოგება, საიდანაც დივიდენდების გადახდა ხდება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს განსჯების, შეფასებებისა და დაშვებების განხორციელებას, რომლებიც ზემოქმედებენ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშგებო რაოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებსა და ხარჯებზე. შეფასებები და განსჯები მუდმივად ფასდება წარსული გამოცდილებისა და სხვა ფაქტორების საფუძველზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინების ჩათვლით, რომლებიც გარემოებების გათვალისწინებით მიჩნეულია გონივრულად. დაშვებები და შეფასებები მუდმივად განხილულია და შეიძლება დასრულდეს იმგვარი გამოსავლით, რაც მოითხოვს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების ზემოქმედებაზე არსებითი კორექტირებას მომავალ პერიოდებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში, ხელმძღვანელობამ გააკეთა შემდეგი განსჯები და დაშვებები მომავალი და სხვა ძირითადი წყაროების შეფასების გაურკვევლობის შესახებ ანგარიშგების თარიღისთვის, რომლებსაც აქვთ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვანი რისკი მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და ფინანსური შედეგებისთვის, განხილულია ქვემოთ.

დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების პირველადი აღიარება, ბიზნესის ნორმალური მსვლელობისას კომპანია დებს ტრანზაქციებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან.

გაყენებულია



შპს ადი კონტეინტერ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(აშშ დოლარში)

IFRS 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმის დასადგენად, ტრანზაქციების ფასი დადგენილია საბაზრო თუ არასაბაზრო გზით, სადაც არ არის აქტიური ბაზარი ასეთი ტრანზაქციისთვის. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ტრანზაქციების ფასის დადგენაა.

საგაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი

კომპანია იყენებს IFRS 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასებისთვის დებიტორული დავალიანებების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის ანარიცხის გამოყენებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კოლექტიურ საფუძველზე შესაფასებლად, დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ასაკის საფუძველზე. მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება კომპანიის წარსულ საკრედიტო ზარალს, რომელიც მოხდა პერიოდის დასრულებამდე სამი წლის განმავლობაში.

მამასადამე, წარსული ზარალის განაკვეთები არ არის კორექტირებული კომპანიის მომხმარებლებზე მოქმედი მაკროეკონომიკური ფაქტორების შესახებ მიმდინარე და მომავალი ინფორმაციისთვის.

5. ტვირთის გადაზიდვიდან მიღებული ამონაგები

სატრანსპორტო საექსპედიტორო მომსახურებიდან (ტვირთის ამონაგები) მიღებული შემოსავლები 2021 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	2021	2020
ტვირთის გადაზიდვიდან მიღებული ამონაგები ტრანზიტული გადაზიდვებიდან	23,527,330	3,561,213
ტვირთის გადაზიდვიდან მიღებული ამონაგები ტრანზიტული გადაზიდვებიდან	718,482	3,507,738
ტვირთის გადაზიდვიდან მიღებული ამონაგები ტრანზიტული გადაზიდვებიდან	514,804	4,484,078
სრული ტვირთის გადაზიდვიდან მიღებული ამონაგები	24,760,616	11,553,029

6. ტრანსპორტირების ხარჯი

კომპანიის ტრანსპორტირების ხარჯები დაკავშირებულია ექსპორტის, იმპორტის, გადაზიდვისა და სადგურთან დაკავშირებულ ხარჯებთან, რომლებმაც შეადგინა 24,052,936 აშშ დოლარი და 10,014,117 აშშ დოლარი 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის.

7. სხვა ხარჯები

კომპანიის სხვა ხარჯები 2021 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	2021	2020
პროფესიონალი მომსახურება და საფასურული	35,670	34,132
ბანკის საკომისიო	9,990	5,689
დაზღვევის ხარჯები	3,438	2,013
სრული სხვა ხარჯები	49,098	41,834

გაყვანილობა



შპს ადი კონტინტერ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(აშშ დოლარში)

8. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31-დეკ-21	31-დეკ-20
ბუღალდი სახსრები ბანკში	2,046,597	986,106
ნაღდი ფული	220,635	-
სრული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	2,267,232	986,106

9. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

კომპანიის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება შედგება სატვირთო მომსახურებიდან დებიტორული დავალიანებისგან, რომელმაც შეადგინა 3,019,179 აშშ დოლარი და 3,468,551 აშშ დოლარი 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიასა და იურიდიულ პირებს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც კომპანია ახორციელებს და იღებს სატრანსპორტო მომსახურებას.

კომპანია პერიოდულად ახორციელებს ურთიერთგადაფარვის დებიტორულ დავალიანებებს და ვალდებულებებს ერთსა და იმავე კონტრაქტებთან, ამის გამო კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს პირობები ან მოვლენები, რომლებიც მიუთითებს სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების გაუფასურების შესახებ.

10. გადახდილი ავანსები

კომპანიის მიერ გადახდილი ავანსები შედგება სატრანსპორტო მომსახურების წინასწარი გადახდებისგან, რომელმაც შეადგინა 933,362 აშშ დოლარი და 1,125,207 აშშ დოლარი 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შედგება სატრანსპორტო მომსახურებისთვის სავაჭრო ვალდებულებებისგან, რომელმაც შეადგინა 3,098,272 აშშ დოლარი და 3,434,206 აშშ დოლარი 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

12. მიღებული ავანსები

კომპანიის მიერ მიღებული ავანსები შედგება სატვირთო მომსახურებისთვის წინასწარ გადახდებისგან, რომელმაც შეადგინა 1,026,385 აშშ დოლარი და 672,903 აშშ დოლარი 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

13. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს მიმდინარე ტრანზაქციით მსურველ მხარეებს შორის იძულებითი გაყიდვის ან ლიკვიდაციის გარდა და საუკეთესოდ დადასტურებულია აქტიური კოტირებული საბაზრო ფასით. ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა კომპანიის მიერ არსებული საბაზრო ინფორმაციისა და შესაბამისი შეფასების მეთოდოლოგიების გამოყენებით.

თუმცა, შეფასებული სამართლიანი ღირებულების დასადგენად საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის აუცილებლად მოითხოვება განსჯა.

საქართველო აგრძელებს განვითარებადი ბაზრის ზოგიერთი მახასიათებლის გამოვლენას, ხოლო ეკონომიკური პირობები განაგრძობს ფინანსურ ბაზრებზე აქტივობის მოცულობის შეზღუდვას.

გაყვანილი მითხრო



შპს ადი კონტეინტერ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(აშშ დოლარში)

საბაზრო კოტირებები შეიძლება მომგვლებული იყოს ან ასახავდეს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფით აღებული ქონების გაყიდვის ტრანზაქციას და, შესაბამისად, არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ხელმძღვანელობამ გამოიყენა ყველა არსებული ბაზრის ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

მცოცავი სავალუტო კურსის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ჩვეულებრივ არის მათი საბალანსო ღირებულება. გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება ეფუძნება სავარაუდო სამომავლო ფულად სახსრებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია დისკონტირებულად მსგავსი საკრედიტო რისკების და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. გამოყენებული დისკონტის განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაქტის საკრედიტო რისკზე. დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება მიახლოებითი იყო მათ სამართლიან ღირებულებასთან.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები

ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება მითითებული დაფარვის ვადით, რომლისთვისაც კოტირებული საბაზრო ფასი არ არის ხელმისაწვდომი, შეფასდა მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის. სავაჭრო ვალდებულებებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების საბალანსო თანხები უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას მათი მოკლევადიანი დაფარვის გამო.

14. ფინანსური რისკი

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკის მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრაზე და, მიუხედავად იმისა, რომ ინარჩუნებს მათზე საბოლოო პასუხისმგებლობას, მას აქვს დელეგირებული უფლებამოსილება შეიმუშაოს და აწარმოოს პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპანიის ფინანსური ფუნქციის მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას. ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, ჩამოაყალიბოს პოლიტიკა, რომელიც შეძლებისდაგვარად შეამცირებს რისკს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე ზედმეტი ზემოქმედების გარეშე. ამ პოლიტიკის შესახებ დამატებითი დეტალები მოცემულია ქვემოთ:

14. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი არის კომპანიისთვის ფინანსური ზარალის რისკი, თუ ფინანსური ინსტრუმენტის კლიენტი ან კონტრაქტის ვერ ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. კომპანია ძირითადად ექვემდებარება საკრედიტო რისკს საკრედიტო გაყიდვებიდან. კომპანიის პოლიტიკა, რომელიც ადგილობრივად ხორციელდება, არის ახალი კლიენტების საკრედიტო რისკის შეფასება კონტრაქტების დადებამდე. ხელმძღვანელობამ ჩამოაყალიბა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ყოველი ახალი მომხმარებლის ინდივიდუალური ანალიზი ხორციელდება კრედიტუნარიანობაზე კომპანიის სტანდარტული გადახდისა და მიწოდების პირობების შეთავაზებამდე.

ხელმძღვანელობა ადგენს საკრედიტო რისკის კონცენტრაციას დებიტორული დავალიანების დამკვეთების ანალიზის ყოველთვიური მიმოხილვის გზით. კომპანიის ქვემოთ მოცემული ფინანსური ინსტრუმენტები ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საბალანსო ღირებულებით:



შპს ადი კონტინტერ ჯორჯია
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (აშშ დოლარში)

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 31, 2021	31 დეკემბერი 31, 2020
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	2,046,597	986,106
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,019,179	3,468,551
სრული ფინანსური აქტივები	5,065,776	4,454,657
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,098,272	3,434,206
სრული ფინანსური ვალდებულებები	3,098,272	3,434,206

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო.

საბაზრო რისკის სენსიტიურობა, რომელიც წარმოდგენილია ზემოთ მოცემულ ანგარიშგებაში, ეფუძნება ერთფაქტორიან ცვლილებას, თუ სხვა ცვლილებები მუდმივი იქნება. პრაქტიკაში, ეს სიტუაცია ძალზე იშვიათი შემთხვევაა და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილება კორელაციით იქნებოდა გამოწვეული. მაგალითად, ადგილობრივი და უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთების ცვლილება.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გამო. კომპანია ექვემდებარება მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად სახსრებზე პრევალირებული უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რყევების გავლენას.

კომპანიის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის კურსის რისკზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	აშშ დოლარი	ლარი	ჯამი
ფინანსური აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	1,859,480	407,752	2,267,232
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,019,179	-	3,019,179
	4,878,659	407,752	5,286,411
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,098,272	-	3,098,272
	3,098,272	-	3,098,272
ღია ბალანსის მდგომარეობა	1,780,387	407,752	2,188,139

14. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

კომპანიის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის კურსის რისკზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	აშშ დოლარი	ლარი	ჯამი
ფინანსური აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	818,030	168,076	986,106
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,468,551	-	3,468,551
	4,286,581	168,076	4,454,657
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,434,206	-	3,434,206
	3,434,206	-	3,434,206
ღია ბალანსის მდგომარეობა	852,375	168,076	1,020,451

გადასმულია

გადასმულია



შპს ადი კონტეინტერ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(აშშ დოლარში)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდობა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან წლამდე	3 ჯამი
ფინანსური აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	986,106	-	986,106
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,468,551	-	3,468,551
	4,454,657	-	4,454,657
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,434,206	-	3,434,206
	3,434,206	-	3,434,206
წმინდა ლიკვიდურობის გარღვევა	1,020,451	-	
ლიკვიდურობის კუმულაციური გარღვევა	1,020,451	1,020,451	

კაპიტალის განმარტება

კომპანიის კაპიტალის განმარტება არის ჩვეულებრივი საწესდებო კაპიტალი და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება/ზარალი. ხელმძღვანელობა განიხილავს თავის როლს, როგორც კორპორატიული ზედამხედველისა, რომელიც პასუხისმგებელი არიან კაპიტალის შენარჩუნებასა და ზრდაზე, ისევე როგორც აქციონერებისთვის ადეკვატური შემოსავლის გამომუშავებაზე.

კომპანიის მიზნები კაპიტალის შენარჩუნებისას არის:

დაიცვას კომპანიის შესაძლებლობა, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნენ საწარმო, რათა მან შეძლოს აქციონერებისთვის შემოსავლების მიწოდება; და უზრუნველყოს აქციონერებისთვის ადეკვატური შემოსავლების მიწოდება სერვისების რისკის დონის შესაბამისად ფასების დაწესებით.

კომპანია ადგენს კაპიტალის საჭირო რაოდენობას რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს თავისი კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური პირობებისა და ძირითადი აქტივების ცვლილების რისკის მახასიათებლების გათვალისწინებით.

საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. იმის გამო, რომ ქვეყანაში ბიზნესგარემოს შესახებ კანონმდებლობა სწრაფად იცვლება, პოლიტიკურ და ბიზნეს გარემოში ნეგატიურმა ცვლილებებმა შესაძლოა საფრთხე შეუქმნას კომპანიის აქტივებსა და ოპერაციებს.

საქართველოს, როგორც განვითარებად ბაზარს, ახასიათებს რისკები, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე, მათ შორის ეკონომიკური, საგადასახადო, პოლიტიკური და სოციალური, სამართლებრივი და საკანონმდებლო რისკები. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო რეგულირებისა და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

15. გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილებით, რომლებიც ხშირად გაურკვეველი და წინააღმდეგობრივი და ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციას სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ.

გადასახადები ექვემდებარება განხილვას და გამოძიებას რამდენიმე სამთავრობო ორგანოს მიერ, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების, სანქციებისა და პროცენტების დაწესების უფლებამოსილება.

გაქრე



შპს ადი კონტინტერ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(აშშ დოლარში)

დაქვემდებარებული ანარიცხები საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააწესოს დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები კომპანიაზე, თუ იმ წლის დასრულებიდან, როდესაც დარღვევა მოხდა, სამი წელი არის გასული.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციის საფუძველზე, ის უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების ადეკვატურ შესრულებას. თუმცა, შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებას შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

15. გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები (გაგრძელება)

სასამართლო დავები

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ აქვს არსებითი სამართალი პროცესები. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ რაიმე სახის მატერიალური ზარალი თავს არ იჩენს, შესაბამისად, დარიცხვები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სამართალწარმოებასთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ამ განმარტებით ჩანაწერში.

ვალდებულება

კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ გააჩნია დაუსრულებელი ვალდებულებები.

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები. IFRS 24-ის მიხედვით „დაკავშირებულ მხარეთა განმარტება“, დაკავშირებული მხარეები მოიცავს:

სუბიექტები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის საშუალებით, აკონტროლებენ აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ფინანსური ანგარიშგების წარმდგენი სუბიექტის მიერ. ეს მოიცავს ჰოლდინგებს, შვილობილ კომპანიებს და ერთობლივ საწარმოებს

► ასოცირებული სუბიექტები – მხარეები, რომლებზედაც სუბიექტს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა, მაშინ როცა ეს მხარეები არ არიან არც შვილობილი კომპანიები და არც ერთობლივი საწარმოები;

► ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია არის საწარმო

► კომპანიის ან მისი მშობელი კომპანიის ძირითადი ხელმძღვანელი პერსონალის წევრები

► (a) ან (b) პუნქტებში მოხსენიებული ნებისმიერი პირის ოჯახის ახლო წევრები;

► მხარეები, რომლებიც არიან კონტროლირებული, ერთობლივად კონტროლირებული ან მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფი სუბიექტები, ან რომლებსთვისაც ასეთ სუბიექტებში მნიშვნელოვანი ხმის მიცემის უფლება არსებობს, პირდაპირ ან ირიბად, (c) ან (b) პუნქტებში მოხსენიებულ ნებისმიერ ფიზიკური პირის მიერ;

► დასაქმების შემდგომი სარგებლის სისტემა თანამშრომლებისთვის ან კომპანიასთან აფილირებული მხარისთვის.

ქვემოთ მოცემული ცხრილები შეიცავს ინფორმაციას ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ დაკავშირებულ მხარეებთან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	დაკავშირებული მხარეების ნაშთები	მთლიანი ფინანსური ანგარიშგების აღწერის მიხედვით
საგაქრო და სხვა მოთხოვნები		
- დაკავშირებული აქციონერის მიერ	305,099	
- ერთიანი კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტები	67,908	3,019,179

გაქრო

თბილისი

შპს ადი კონტეინტერ ჯორჯია
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (აშშ დოლარში)

- თანამშრომლების მოკლევადიანი სარგებელი	9,132	12,132
---	-------	--------

17. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

ანგარიშგების თარიღის შემდეგ რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც საჭიროებს წარდგენას ან განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.

მთარგმნელი:

ეკატერინე
 მთარგმნელი



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N220858722



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

08.07.2022 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

თამარ ჯიქურაული

სანოტარო ბიუროს მისამართი

საქართველო, ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. 184,
სართული 2.

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

574922910

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

32646758052222



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან
გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე:
www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მე, ნოტარიუსი თამარ ჯიქურაული, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ.
184, სართული 2, ვადასტურებ თარგმანის ეკატერინე ოდიშელიძის (დაბ.18.04.1981წ, პირადობის მოწმობის
#20IC87920, პირადი ნომერი 13001005321, მცხოვრები: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, მირიანაშვილის ქ. #13,
გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ 22.02.2022წ) ხელმოწერის ნამდვილობას.
I, Notary, **Tamar Jikurauli**, the Notary bureau located at the address : #184 Tsinamdzgvrishvili Street, floor 2, certify the reality
of signature of translator **Ekaterine Odishelidze** (born on 18.04.1981, residing in c.Tbilisi, Didi Digomi, #13 Mirianashvili str .
Identification Card # 20IC87920, Personal Number 13001005321 , issued by Ministry of Justice on: 22.02.2022).
მე, ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარგმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე, რომელმაც
დაადასტურა, რომ ჯეროვნად იცის ინგლისური და ქართული ენები და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.
თარგმანზე ხელმოწერა შესრულებულია ოცდაექვს გვერდზე.
I, notary, warned the translator, that she is responsible for the correctness of translation. She confirmed that she knows English
and Georgian languages properly and guarantees the correctness of translation.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური სულ: 83.0 (ოთხმოცდასამი) ლარი, „სანოტარო მოქმედებათა
შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის
ოდენობების, მათი გადახდებიდან წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს
მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის
N272 დადგენილების, 31.4 მუხლით 78 (სამოცდათვრამეტი) ლარი და ელექტრონული სანოტარო რეესტრში
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, 5 (ხუთი) ლარი, თანახმად 39-ე მუხლისა.
Paid notary tariff: 78 GEL+ 5 GEL

ნოტარიუსი: თამარ ჯიქურაული
Notary: **Tamar Jikurauli**



[Handwritten signature of Tamar Jikurauli]

08.07.2022.